



პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების
პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 3 21 0000806669



20/08/2021

**ა(ა)იპ აგროსერვისისთვის „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სპეციალიზებული
სარეალიზაციო ობიექტის კონსულტანტი“ პროფესიული გადამზადების პროგრამის
განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ**

დაწესებულების მიერ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის №358 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ აგროსერვისს (ს/კ: 202241742) მიენიჭოს უფლება განხორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სპეციალიზებული სარეალიზაციო ობიექტის კონსულტანტი / 01118 (დანართი).
2. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 6 აგვისტო.
3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 20 აგვისტოს №806287 ოქმის მეექვსე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა



დანართი

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01118	პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სპეციალიზებული სარეალიზაციო ობიექტის კონსულტანტი	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	4	ქართული	18	ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. №80
						18	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14
						18	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №111
						18	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. კაჭრეთი
						18	ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. №61
						14	ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. №10